საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

კენჭისყრა - 01.09.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს მიხეილ ჯინჯოლია კანდიდატურა?
დიახ (✓) არა

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1 სექტემბერი, 2025 **ქ. თბილისი**

2025 წლის 1 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის **მიხეილ ჯინჯოლიას** კანდიდატურის წარდგენას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის **მიხეილ ჯინჯოლიას** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ **კანდიდატი - მიხეილ ჯინჯოლია** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 90 ქულით (90%) (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2025 წლის 1 აგვისტოს შეფასების დასაბუთება - კანდიდატის **მიხეილ ჯინჯოლიას** შესახებ).

ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ **კანდიდატი - მიხეილ ჯინჯოლია** - სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს და იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას, რის გამოც, მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე